პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 57 (7618)

21 მარტი, ოთხშაბათი, 1984 წ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

ფასი 3 კაპ.

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ნომერშია:

ცხინვალს უბრუნდება ქართული ჭიდაობა (მე-2 გვ.)

შეშფოთების „მყარი საფუძველი" (მე-2 გვ.)

დიდი ფეხბურთი თბილისის სტუმარია (მე-3 გვ.)

ჭადრაკი: სოჭში ვითარება იძაბება (მე-4 გვ.)

მემკვიდრეობა

ყოველი ერის ცხოვრებაში ფასდაუდებელია კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობა. ტრადიციებიც მხოლოდ იქ ჩნდება, სადაც ფიქრი და რუდუნებაა, სადაც ერის სულიერი ცხოვრების საჭეს აზრი მართავს. ქართველ კაცს იმთავითვე მოსდგამს ტრადიციების პატივისცემა. ქართული სპორტის ისტორიაც ჩვენი ერის კულტურული ცხოვრების შემადგენელი ნაწილია. მისი საუკეთესო ტრადიციები მწირ ნიადაგზე არ აღმოცენებულა, იგი საუკუნეების მანძილზეა ნაკვებ-ნასაზრდოები. სწორედ ამიტომაც ქართველ ათლეტებს არ გასძნელებიათ მაღალი სპორტული მწვერვალების დაპყრობა. ქართულმა სპორტმა საკუთარი ხელწერით გაითქვა სახელი მსოფლიოს სპორტულ სამყაროში.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ ის მდიდარი ტრადიციები, რომლებსაც ახალგაზრდობა მემკვიდრეობით იღებს წარსულისაგან, ახალი გამარჯვებების, თამამად წინსვლის თავისებური სტიმულია, იგი რწმენად გადადის თაობიდან თაობაში.

თავისთავად, ტრადიცია უხილავი ფენომენია, მაგრამ ადამიანმა იგი საჩინოდაც აქცია. ამგვარ კეთილ სამსახურს გვიწევს მუზეუმი, რომელიც ჩვენს თვალწინ აცოცხლებს წარსულს, გარდასულ სუნთქვას გვაგრძნობინებს, მის თანაზიარს გვხდის და რაღაცნაირად დაგვმოძღვრავს კიდეც, რომ არასდროს ავცდეთ წინაპართა ნაკვალევს.

სპორტული მუზეუმით პირველებმა ქუთათურებმა გაგვახარეს. თავის დროზე სწორედ ამ ქალაქის ენთუზიასტებმა გვიჩვენეს ჩინებული მაგალითი იმისა, თუ რაოდენ აუცილებელია სპორტული მემკვიდრეობის შესწავლა და მისი წარმოჩენა. მხოლოდ ასე შეიძლება ჩადგეს ტრადიცია ახალგაზრდების აღზრდის ჭეშმარიტ სამსახურში.

საქართველო სპორტული რესპუბლიკაა და დიალაც ბევრი გვაქვს საამაყო. უამრავი საარქივო მასალა შეაგროვეს საქართველოს სპორტული მუზეუმის თანამშრომლებმა და ახლო მომავალში ამ მასალას შესაფერის ბინაში იხილავს ჩვენი საზოგადოებრიობა. მადლობის გარდა რა გვეთქმის თუნდაც იმათი მისამართით, ვინც ილვწის შეიქმნას ქართველი ხალხის ყოფაში ოდითგანვე ფესვგადგმული მეცხენეობისა და საცხენოსნო სპორტის მუზეუმი. ალბათ შორს არც ის დროა, როცა სპორტული მუზეუმები გაიხსნება აჭარაში, აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთში, ამ რეგიონებს ხომ მდიდარი სპორტული წარსული აქვთ, ყოველთვის უდიდესი წვლილი შეჰქონდათ და შეაქვთ ჩვენი სპორტის წინსვლაში.

ამ დღეებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომათა დარბაზში გაიმართა რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკების კრება, რომელმაც განიხილა საკითხი „სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის მოთხოვნების შესაბამისად იდეოლოგიურ, მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში საქართველოს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა როლის შემდგომი ამაღლების ამოცანების შესახებ". ეს ფაქტი თავისთავად მეტყველებს იმაზე, თუ რა პატივისცემითა და ყურადღებით ეკიდება რესპუბლიკის პარტიული ხელმძღვანელობა ერის სულიერი ცხოვრების ყოველ სფეროს. იდეოლოგიურ, მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში თავისი წვლილი უნდა შეიტანონ სპორტულმა ბიბლიოთეკებმაც, სადაც თავს მოიყრის ჩვენი ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის ამსახველი მრავალფეროვანი ლიტერატურა. ზრუნვა მემკვიდრეობის გაღრმავება-განმტკიცებისათვის თავისთავადაა მომავალში გადებული ხიდი. წარსულისადმი პატივისცემა მისი ურყევი ბურჯია.

ავთანდილ გუბელაძე ჩემპიონია

სასიხარულო ცნობა მივიღეთ რიგიდან, სადაც გუშინწინ დამთავრდა საბჭოთა კავშირის პირველობა ძიუდოში. იუნიორთა ამ ავტორიტეტულ შეჯიბრებაში ჩვენი რესპუბლიკის მოჭიდავეებმა ოთხი მედალი მოიპოვეს. აბსოლუტურ კატეგორიაში ყველა მეტოქე დამაჯერებლად დაამარცხა და პირველი ადგილი დაიკავა ქუთაისელმა ავთანდილ გუბელაძემ. 60 კგ წონის მოჭიდავეთა შორის მეორე ადგილზე გავიდა კობა ილურიძე. ბრინჯაოს მედლები გადაეცათ იური ჩოჩიშვილსა (65 კგ) და გელა ბერუაშვილს (95 კგ). გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ნაკრებმა რსფსრ-ის შემდეგ მეორე ადგილი დაიკავა, მესამე იყო მოსკოვის გუნდი.

სურათზე: საბჭოთა კავშირის ჩემპიონი იუნიორთა შორის ავთანდილ გუბელაძე.

ელვა-ინტერვიუ

ვალტერ დე გრეეფი: შანსები თანაბარია

გუშინ, ნაშუადღევს ბრიუსელის „ანდერლეხტი" თბილისში ჩამოფრინდა, საღამოს კი „დინამოს" სტადიონის მწვანე მინდორზე საათნახევრიანი ვარჯიში ჩაატარა. აქ მოსულმა მაყურებელმა ინტენსიური მოთელვის შემდეგ იხილა ორმხრივი თამაში, რომელიც, მართალია, მოედნის მხოლოდ ერთ ნახევარზე მიმდინარეობდა, საკმაოდ საინტერესო გახლდათ.

ვარჯიში რომ დამთავრდა, ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა „ანდერლეხტის" მცველს **ვალტერ დე გრეეფს**, რომელიც ბრიუსელის შეხვედრაში ბელგიელთაგან ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

✦ **როგორ აფასებთ „ანდერლეხტისა" და „სპარტაკის" შანსებს უეფა-ს თასის განმეორებითი მეოთხედფინალური მატჩის წინ?**

— მოსკოვის „სპარტაკმა" შესანიშნავად ითამაშა პირველი მატჩი და ყველას დაუმტკიცა, რომ მეტად ძლიერი გუნდია. ამიტომ, ნურავინ იფიქრებს, თითქოს შინ ორი ბურთის სხვაობით მოგება ჩვენთვის რაიმე გარანტიას იძლეოდეს. შემდეგ წრეში გასასვლელად უაღრესად დაძაბული და უშეღავათო ბრძოლა მოგველის. გულწრფელად გეტყვით: ნახევარფინალში გასვლის საკითხი ჯერ სრულიად გაურკვეველია. თუ ციფრებს მივმართავთ, ჩვენი შანსები თანაბარია — 50-50-თან.

✦ **გულშემატკივრებს აინტერესებთ, ითამაშებს თუ არა „სპარტაკის" წინააღმდეგ ბელგიისა და, საერთოდ, ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი ერვინ ვანდენბერგი?**

— თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, აუცილებლად ითამაშებს. მან გასულ შაბათს უკვე ჩაატარა ეროვნული პირველობის კალენდარული შეხვედრა და საკმაოდ სერიოზული ტრავმის შემდეგ მინდორზე დაბრუნება გოლითაც აღნიშნა.

✦ **ესე იგი, შემადგენლობის მხრივ „ანდერლეხტს" არავითარი პრობლემა არ აწუხებს...**

— არც მთლად ასეა საქმე. ფეხი აქვს დაშავებული ჩვენს ლიდერსა და თამაშის ორგანიზატორს ფრანკ ვერკაუტერენს, რომელიც, თუ საერთოდ შეძლო მინდორზე გამოსვლა, ცხადია, მთელი ძალით ვერ ითამაშებს. ასევე საეჭვოა შეხვედრაში ვიმ ჰოფკენსის მონაწილეობა — მასაც მსუბუქი ტრავმა აქვს. მაგრამ მიუხედავად იმისა, ითამაშებენ თუ არა ისინი, ჩვენ ვეცდებით ლამაზი და საინტერესო ფეხბურთი ვაჩვენოთ. მაყურებელი ხომ „სპარტაკისა" და „ანდერლეხტის" შეხვედრისგან უდაოდ დიდ სანახაობას მოელის... ასეც უნდა იყოს!

დ. ჯ.

მოსკოვის „სპარტაკი". ეს მდიდარი ტრადიციების გუნდი, რომელმაც სამამულო ფეხბურთში თავისი, საკმაოდ ღრმა ხნული გაავლო, დღეს თბილისის „დინამოს" სტადიონზე უეფა-ს თასის გათამაშების საპასუხო მეოთხედფინალურ მატჩში შეხვდება ბელგიის „ანდერლეხტს". „სპარტაკს" საბჭოთა ფეხბურთის თითქმის 50-წლიანი ისტორიის მანძილზე ბევრჯერ უჩვენებია თბილისელთათვის ლამაზი, კომბინაციური თამაში. სწორედ ასეთ, სპარტაკისეულ თამაშს ელის დღეს ქართველი მაყურებელიც...

იხ. მე-3 გვ.

სურათზე: „სპარტაკისა" და ჰოლანდიის „სპარტის" მერვედფინალური მატჩის (გაიმართა თბილისში) მომენტი. ეს თამაში ანგარიშით 2:0 მოიგეს სპარტაკელებმა.

გაზაფხულის მოლოდინში

ქართული სოფელი იმთავიდან იყო ჩვენი ეროვნული სპორტის და, კერძოდ, ჭიდაობის მასაზრდოებელი, მისი დაუშრეტელი წყაროსთვალი. სწორედ სოფელია იმ ქართველ ფალავანთა უმეტესობის აკვანი, რომლებმაც მრავალჯერ ისახელეს თავი საკავშირო თუ საერთაშორისო სარბიელზე და საპატიო ადგილი დაიკავეს მსოფლიოს ფალავანთა ბრწყინვალე ელიტაში. ამ მიღწევათა დედოფესვი კი ჩვენი ეროვნული საუნჯე, ქართული ჭიდაობა გახლავთ — მასზე იზრდებოდნენ ქართველ ფალავანთა თაობები და სპორტის ამ კეთილშობილური, რაინდული სახეობის პოპულარობა სოფლად ყოველთვის განსაზღვრავდა ჩვენი რესპუბლიკის მოჭიდავეთა წარმატებებს, მუდამ იყო მისი უტყუარი ბარომეტრი.

სოფელში ყოველთვის ცხოვრობდა ჭიდაობის ტრფიალი, რომლის თაოსნობითაც ეწყობოდა ნახერხმოყრილი საჭიდაოები, იმართებოდა შეჯიბრებები, — კაცი, რომელიც სათუთად ინახავდა და დავიწყების ფერფლს აცლიდა წინაპართა დანატოვარ საგანძურს. სწორედ იმ კაცების დამსახურებაა, რომ დღეს საქართველოს მრავალ სოფელში ისევ იციან ქართული ჭიდაობის ფასი, მისი მადლი და მარილი.

საბედნიეროდ, ჩვენში აქა-იქ კიდევ შემორჩა თითო-ოროლა ენთუზიასტი, რომელთა მეცადინეობითაც საქართველოს მთასა და ბარში კვლავ გაისმის საჭიდაო ჭანგი და ზაფხულის კვირა-უქმეებში ისევ იმართება შეჯიბრებები. ერთ-ერთი მათგანი ცხინვალელი ალექსანდრე გალეგაშვილი გახლავთ. მეორე წელია რაც იგი კვლავ ჩაუდგა სათავეში „კოლმეურნის" სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს და უკვე ბევრი მოასწრო. მისი თაოსნობით ცხინვალში კაპიტალურად შეკეთდა ერთ-ერთი ძველი ნაგებობა, სადაც ამჟამად ჭიდაობისა და ძალოსნობის სათანადოდ აღჭურვილი დარბაზებია. რაც მთავარია, მოეწყო ღია არენა ქართული ჭიდაობისათვის, რომელიც 850 მაყურებელს იტევს. აქვეა გასახდელები, საშხაპეები, ფინური აბანო. მომავლისათვის დაგეგმილია სასტუმროს მშენებლობა, აგრეთვე სტანდარტული ზომის საცურაო აუზისა და საჭყუმპალაოს მოწყობა, ღია საჭიდაო არენის გადახურვა.

— შარშან, 12 აგვისტოდან მოყოლებული, რეგულარულად ვმართავდით შეჯიბრებებს, — გვითხრა ა. გალეგაშვილმა, — ახლომახლო სოფლებიდან და მეზობელი რაიონებიდან — გორიდან, კასპიდან, მცხეთიდან ყოველ კვირას ჩამოდიოდნენ ქართული ჭიდაობის მოყვარულნი. ზურნის ჭიჭყინი და დოლის ბაგაბუგი ყოველ კვირა დღეს ისმოდა ცხინვალის ქუჩებში. მოეწყო შეჯიბრებები, სადაც გათამაშდა სახელგანთქმული ფალავნების: სანდრო კანდელაკის, კოსტა მაისურაძის, ხარიტონ კორეევის, სერგო გაბარაევის, ალიბეგ ბესტაევის, აგრეთვე წარსულში ცნობილი ცხინვალელი მოჭიდავეების, საქართველოს ყოფილი ჩემპიონების ვახტანგ სიქტურაშვილისა და სულიკო მიდოდაშვილის სახელობის პრიზები. ამ შეჯიბრებებს 35000-მდე მაყურებელი დაესწრო...

ახლა მთელი ცხინვალი მოუთმენლად ელის გაზაფხულს, გამოიამინდებს თუ არა, შეჯიბრებებსაც განვაახლებთ. ძველ სამაჩაბლოში ყოველთვის უყვარდათ ქართული ჭიდაობა, მაგრამ უკანასკნელ წლებში სპორტის ამ ეროვნული სახეობის მიმართ ინტერესი ერთგვარად განელდა. ახალმა საჭიდაო არენამ კი დიდად შეუწყო ხელი ცხინვალში ქართული ჭიდაობის პოპულარობას.

არ შეიძლება მადლიერების გრძნობით არ გავიხსენოთ ის ადამიანები, ვინც მთელი სულით და გულით გვედგნენ მხარში, როცა ამ სპორტულ კომპლექსს ვაშენებდით. აქტიური დახმარება გაგვიწიეს სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ნიკოლოზ ურჯუმელაშვილმა, ცხინვალის პარტიის საქალაქო კომიტეტის ყოფილმა მდივანმა იულია ტეხოვამ, პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ურუზმაგ სანაკოევმა და, რაც მთავარია, „კოლმეურნის" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ ივანე ბოჭორიძემ, ურომლისოდაც, ცხადია, ვერაფერს გავაწყობდით. ცხინვალელი ფალავნები, სპორტის აქაური გულშემატკივრები მათ ამაგს არასოდეს დაივიწყებენ...

ნუგზარ შატაიძე.

• • •



ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ა. გალეგაშვილი; ვარჯიშობენ ცხინვალელი ძალოსნები.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

კონტურები დაზუსტდა

დამთავრდა „კოლმეურნის" რესპუბლიკური საბჭოს პირადი პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში, რომელიც ცხინვალის ახალ სპორტულ დარბაზში მიმდინარეობდა. შეჯიბრებაზე თავი მოიყარა საქართველოს 16 რაიონის, აგრეთვე, აჭარის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის 111 სპორტსმენმა. გამოვლინდნენ გამარჯვებულები. წონითი კატეგორიების მიხედვით სპორტსაზოგადოების ჩემპიონები გახდნენ: ზურაბ ქალდანი, მამუკა ნაჭყებია, ალხას ლაზბა, დავით ჯანაშია (ყველა — აფხაზეთი), რუბენ პოღოსიანი (გორი), ვაჟა გონაშვილი (წითელი წყარო), გიგა გულბანი, მამუკა ხურციძე, თემურ საჯაია, ბესიკ გვილია (ყველა — აფხაზეთი). როგორც ხედავთ, გამარჯვებულთა უმრავლესობა აფხაზეთის გუნდის წევრია — 10-დან 8 პირველი ადგილი მათ მოიპოვეს.

— ამ შეჯიბრების ძირითადი მიზანი საქართველოს სოფლის სპორტსმენთა ნაკრების დაკომპლექტება გახლდათ, — გვითხრა აფხაზეთის გუნდისა და „კოლმეურნის" რესპუბლიკური ნაკრების მწვრთნელმა შოთა კიკაბიძემ, — კონტურები დაზუსტდა. გუნდის შემადგენლობაში რამდენიმე ახალგაზრდა პერსპექტიული სპორტსმენი მოხვდა. 4 აპრილიდან სოხუმში შევიკრიბებით, სადაც გია ყურაშვილი და გრიგორ ჰარხალაშვილიც შემოგვიერთდებიან. ეს ცნობილი ფალავნები ცხინვალში ვერ ჩამოვიდნენ, მაგრამ „უროჟაის" საკავშირო ჩემპიონატში, რომელიც 19 აპრილს ქალაქ აბაკანში გაიმართება, უსათუოდ მიიღებენ მონაწილეობას.

ურიგოდ არ გამოსულან სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლები, აგრეთვე, ზესტაფონის, გორის, წითელი წყაროს, ამბროლაურის, წყალტუბოს, ქუთაისისა და სამტრედიის ფალავნები.

ნუგზარ ვახტანგაძე.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: ერთ-ერთი ფინალური ორთაბრძოლა.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

ყურადღება: ჭაბუკთა საკავშირო სპარტაკიადა

წლეულს, სექტემბერში, უზბეკეთის დედაქალაქში გაიმართება მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა. მართალია, მისი შედეგები მომავალ საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის გუნდურ ჩათვლაში არ შევა, მაგრამ იგი ნორჩი სპორტსმენების შემდგომი დაოსტატებისათვის შესანიშნავი ღონისძიება იქნება. გაივლის კიდევ ათი თვე და მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის ჭაბუკ სპორტსმენებს საშუალება მიეცემათ უფროს „კოლეგებს" მე-9 საკავშირო სპარტაკიადის გუნდურ ჩათვლაში წარმატების მოსაპოვებლად ბრძოლაში დაეხმარონ: 1985 წლის ზაფხულში ჩვენს ქვეყანაში პირველად გაიმართება ჭაბუკთა საკავშირო თამაშები. აქ მოპოვებული „ოქროს ქულები" გარკვეული კოეფიციენტით (0,6) წინასწარ დაერიცხებათ საბჭოთა კავშირის მე-9 სპარტაკიადაში მონაწილე მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრებებს. დებულების მიხედვით, ასპარეზობაში მონაწილეობას მიიღებენ 1968 წელს და უფრო გვიან დაბადებული სპორტსმენები. გუნდების შემადგენლობა, მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადასთან შედარებით, უფრო მრავალრიცხოვანი იქნება. მაგალითად, მძლეოსნებისათვის იგი 80 კაცითაა განსაზღვრული.

უნდა ითქვას, რომ ჩვენი რესპუბლიკის მძლეოსნების მესვეურები, ამ ერთი თვის წინ, როცა ჭაბუკთა საკავშირო თამაშების დამტკიცებული დებულება მიიღეს, საგონებელს მიეცნენ: საქმეში ჩახედული კაცი ადვილად დაასკვნის, რომ ჩვენი საკმაოდ მწირი რეზერვიდან მრავალრიცხოვანი გუნდის შექმნა უაღრესად ძნელი საქმეა. ძნელი კი არა, ზოგიერთი სპეციალისტის აზრით, თითქმის შეუძლებელი. მდგომარეობა იმანაც გაართულა, რომ, როგორც ჩანს, ზოგიერთ ხელმძღვანელსა და მწვრთნელს, რომელთაც ნორჩ მძლეოსნებზე ზრუნვა დააკისრეს, ხვალინდელ დღეზე არ უფიქრიათ. ამიტომ იმ ასაკის მძლეოსანთა მომზადებაზე, რომლებმაც ჭაბუკთა საკავშირო თამაშებზე უნდა იასპარეზონ, არ უზრუნიათ. მოსწავლეთა მორიგი საკავშირო სპარტაკიადა ხომ 1984 წელს უნდა გამართულიყო.

რა თქმა უნდა, ახლა ყველამ გაფაციცებით დაიწყო მძიმე მდგომარეობიდან გამოსავლის ძებნა. ამ მხრივ პირველი ნაბიჯი თბილისის სპორტკომიტეტის მუშაკებმა გადადგეს. ორიოდე დღის წინ, ვითარებაში გარკვევის მიზნით, მათ 1968 წელს და უფრო გვიან დაბადებულ მძლეოსანთა შორის საქალაქო პირველობა ჩაატარეს. აქვე ვიტყვით, რომ წლეულს ამავე ასაკის მოსწავლეთა შორის რესპუბლიკის სპორტკომიტეტის და განათლების სამინისტროს ხაზით 4 რესპუბლიკური შეჯიბრების ჩატარებაა ნავარაუდევი.

შეჯიბრებამ ნათლად დაგვანახა, რომ სპეციალისტების წინასწარ გამოთქმულ შეშფოთებას „მყარი საფუძველი" ჰქონია. ორი დღის განმავლობაში მხოლოდ ორიოდე მძლეოსანმა შეასრულა პირველი თანრიგის ნორმატივი, ხოლო ბევრს გამარჯვებისათვის მესამე თანრიგის ჩვენებაც ეყო. თუმცა ასპარეზობის მონაწილეებს შორის პერსპექტიულებიც შეიძლება მოინახოს. მაგალითად, საქართველოს პროფსაბჭოს გუნდის წევრებმა ვ. გურინამ და თ. თამაზაშვილმა 200 მეტრიანი დისტანციის დაფარვას შესაბამისად 26,3 და 26,8 მოანდომეს. ორივე შედეგი პირველი თანრიგის ნორმატივს სჯობს. პირად პირველობაში მოასპარეზე ზ. ასლანოვმა (განათლების სამინისტრო) 60 მეტრზე რბენაში 7,0 აჩვენა, თბილისის განათლების სამმართველოს მძლეოსნობის სკოლის მოსწავლემ ი. ბახტაძემ გაიმარჯვა ორ სახეობაში — სიგრძეზე ხტომაში (541 სმ) და 60 მეტრზე თარჯრბენში (9,1). არიან სხვა იმედისმომცემი ახალგაზრდებიც, მაგრამ ჩვენ ჭაბუკთა საკავშირო თამაშებზე 80 (ვიმეორებთ, 80) კარგად მომზადებული მძლეოსანი უნდა გამოვიყვანოთ. რა თქმა უნდა, საქართველოს სხვა რაიონებიდან და ქალაქებიდანაც მივიღებთ შევსებას, მაგრამ რაკი ჩვენი მძლეოსანთა ნაკრების მნიშვნელოვან ძალას ტრადიციულად თბილისელები შეადგენენ, ამიტომ საქალაქო შეჯიბრების შედეგები ფიქრისა და განსჯის სერიოზულ საგნად უნდა იქცეს.

ასპარეზობის მონაწილე გუნდები ორ ჯგუფად იყვნენ დაყოფილნი. პირველ ჯგუფში გაიმარჯვეს თბილისის განათლების სამმართველოს მძლეოსნობის სკოლის წარმომადგენლებმა. მეორე ადგილზეა საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის სპეციალიზებული სკოლის გუნდი (მის შემადგენლობაში მხოლოდ თბილისში მოქმედი ჯგუფების სპორტსმენები იყვნენ). განათლების სამინისტროს რესპუბლიკური სკოლის მოსწავლეები მხოლოდ პირადი პირველობისათვის იბრძოდნენ. სამივე სკოლის მუშაობა უკანასკნელ ხანს რამდენჯერმე განიხილეს ზემდგომმა ორგანოებმა, ცნობები პრესაშიც იყო გამოქვეყნებული. ჩვენ უფრო მეორე ჯგუფში მოასპარეზე თბილისის რაიონული სპორტული სკოლების მძლეოსნების გამოსვლა გვაინტერესებდა. შეჯიბრების ორგანიზატორები უთუოდ კარგად მოიქცნენ, როდესაც სპორტსკოლის გუნდები ერთ ჯგუფში დაუპირისპირეს ერთმანეთს. მათ მიერ ნაჩვენები შედეგები თითოეულ სკოლაში მძლეოსნობის მდგომარეობის ნათელ სურათს იძლევა. კარგი შთაბეჭდილება დატოვეს 26 კომისრის სახელობის რაიონის მძლეოსნებმა (კარგიო, დანარჩენებთან შედარებით ვამბობთ, თორემ ასპარეზობის საერთო დონეზე აკი მოგახსენეთ). მათ 120 ქულა მოაგროვეს და საგრძნობლად ჩამოიტოვეს მეორე და მესამე ადგილზე გასული რკინიგზის სპორტსკოლის (84) და კიროვის რაიონის (82) სპორტსმენები. შეჯიბრებას თავისი აუტსაიდერებიც ჰყავდა: მე-7 ადგილზე გასულმა საქარხნო რაიონის სპორტული სკოლის ნაკრებმა მხოლოდ 7 ქულა მოაგროვა, ხოლო ლენინის, გლდანის, ოქტომბრისა და ორჯონიკიძის რაიონის სპორტსკოლების ხელმძღვანელებმა გუნდები არ გამოიყვანეს — ამ ასაკის მძლეოსნები არ გვყავსო. ასპარეზობამდე ორიოდე დღით ადრე, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს სააქტო დარბაზში ჩატარდა თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგიისა და სახალხო განათლების საბჭოს გაერთიანებული სხდომა, რომელზედაც მძლეოსნობის საჭირბოროტო საკითხები განიხილეს. სხდომაზე კი რაიონული სპორტსკოლების მუშაობა არადამაკმაყოფილებლად შეფასდა (როგორც შეჯიბრებამ გვიჩვენა, სრულიად სამართლიანად). როგორც ჩანს, ზოგიერთი რაიონის განათლების განყოფილების და სპორტსკოლის ხელმძღვანელს, სათანადო დასკვნა არ გაუკეთებია. მარტო კრებაზე დასწრება გამოასწორებს საქმეს?

ფიქრისა და განსჯის საგანი

ღირს ამ სხდომაზე დაწვრილებით შევჩერდეთ: თბილისის სპორტკომიტეტის, განათლების სამმართველოს და მათდამი დაქვემდებარებულ სპორტული სკოლების მუშაკებს შორის კავშირი კი იყო, მაგრამ კარგა ხნის განმავლობაში ისეთი მჭიდრო და საქმიანი არა, როგორსაც საჭიროება მოითხოვდა. ახლა, მდგომარეობის გამოსწორების მიზნით გადაწყდა უფრო შეთანხმებულად ემოქმედათ, ამიტომ იყო, გარკვეული მოსამზადებელი სამუშაოს შემდეგ, სხდომა რომ მოიწვიეს. აქ განხილული საკითხებიდან ყურადღება მიიპყრო თბილისის განათლების სამმართველოს მძლეოსნობის სკოლაში (დირექტორი მამია ტუღუში) შემუშავებულმა სიახლემ, იმის შესახებ, რომ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში შეიქმნას ე. წ. მძლეოსნური მიკრო-ცენტრები, რომლებსაც გამოცდილი მწვრთნელები ჩაუდგებიან სათავეში. საერთო ხელმძღვანელობას თვით სკოლის თანამშრომლები კისრულობენ. სიახლეს ყველამ დაუჭირა მხარი, გადაწყდა, რომ იგი განხორციელდეს. თუ რას მოგვიტანს ეს სიახლე, ამას დრო გვიჩვენებს.

გიორგი ჩოჩიშვილი.

ევროპის საკლუბო ტურნირები

„სპარტაკი" (მოსკოვი, სსრ კავშირი) — „ანდერლეჰტი" (ბრიუსელი, ბელგია)

დღეს თბილისის „დინამოს" სტადიონზე გაიმართება უეფა-ს თასის განმეორებითი მეოთხედფინალური მატჩი

21 მარტი ევროპაში დიდი საფეხბურთო დღეა — გაიმართება ჩემპიონთა თასის, თასების მფლობელთა თასისა და უეფა-ს თასის მეოთხედფინალურ გათამაშებათა საპასუხო შეხვედრები.

ეს მეტად პოპულარული, საპრესტიჟო ტურნირები დასასრულს უახლოვდება. დღევანდელი მატჩები დაასახელებს ნახევარფინალის მონაწილეებს. როგორც ეს ასეთ შემთხვევებში ხდება ხოლმე, შეჯიბრებას შემორჩნენ მხოლოდ უძლიერესნი.

ევროპული თასების გათამაშებებში ჩვენი ქვეყნის გუნდები დიდა ხანია მონაწილეობენ, სხვადასხვა წლებში გვქონია გარკვეული წარმატებები, კერძოდ, თასების მფლობელთა თასს დაეუფლნენ კიევის „დინამო", თბილისის „დინამო", ხოლო მოსკოვის დინამოელებმა ერთხელ ფინალს მიაღწიეს.

სხვა ტურნირებში (ჩემპიონთა თასი, უეფა-ს თასი) ჩვენი მიღწევები გაცილებით უფრო მოკრძალებულია, მაგრამ, როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, წელს პირველი შემთხვევაა, როცა სამივე ტურნირის მეოთხედფინალში გვყავს თითო წარმომადგენელი, ეს კი დიდი წარმატებაა. ახლა ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ განვავითაროთ ეს დიდი მიღწევა და გავიდეთ გათამაშებათა დასკვნით ეტაპზე.

მართალია, მეოთხედფინალის პირველ მატჩებში (ერთი მატჩი — შინ, ორი — სტუმრად) ვერც ერთი გამარჯვება ვერ მოვიპოვეთ, მაგრამ მდგომარეობა უიმედო არაა, მოსკოვის სპარტაკელებსაც, მინსკის დინამოელებსაც და დონეცკის მეშახტეებსაც სრული შესაძლებლობა აქვთ გამოასწორონ მდგომარეობა, იბრძოლონ ნახევარფინალში გასასვლელად. პირველმა მატჩებმა ცხადყო, რომ მინსკის დინამოელები თამაშის კლასით არ ჩამოუვარდებიან ბუქარესტელ თანაკლუბელებს, არც ბრიუსელის „ანდერლეჰტი" და პორტუგალიის „პორტო" არიან დაუძლეველი მეტოქეები. რახან „სპარტაკმა" და „შახტიორმა" მეტოქეთა მინდვრებზე 2-2 გოლი გაიტანეს, მათ თამამად შეუძლიათ იბრძოლონ წარმატებისთვის, თუმცა საამისოდ ჩვენს გუნდებს დასჭირდებათ ძალების სრული მობილიზაცია, მაქსიმალური მონდომებით თამაში.

უცხოეთის პრესა სათანადოდ გამოეხმაურა საბჭოთა გუნდების პირველ შეხვედრებს ევროპულ თასებზე და რეალურად შეაფასა მათი პოტენციური შესაძლებლობანი. მოვიყვანთ ციტატებს უცხოური პრესის ფურცლებიდან:

„სტე" (ბრიუსელი). „მხოლოდ საპასუხო მატჩმა უნდა გადაწყვიტოს, ვინ გავა თასების მფლობელთა თასის ნახევარფინალში — „ანდერლეჰტი" თუ „სპარტაკი", ვინაიდან „ანდერლეჰტმა" გამარჯვებით კი გაიმარჯვა, მაგრამ თავის მინდორზე 2 ბურთი გაუშვა".

„ლიბრ ბელჟიკი" (ბრიუსელი). „სპარტაკელებმა ბელგიელ ფეხბურთის მოყვარულებს აჩვენეს სწრაფი, მსუბუქი, ტექნიკური თამაში, ისინი სწრაფად მოძრაობდნენ მინდორზე და ხშირად უტევდნენ მეტოქეს, თუმცა შეტევის დასასრულს რამდენიმეჯერ ვერ გამოიყენეს ძალზე ხელსაყრელი მდგომარეობა".

„სუარი" (ბრიუსელი). „მოსკოვის „სპარტაკმა" დიდი მღელვარება განაცდევინა „ანდერლეჰტსაც" და მის მწვრთნელს პოლ ვან ჰიმსტსაც. ცხადია, საპასუხო მატჩში სპარტაკელები გაცილებით უფრო ძლიერად, მობილიზებულად ითამაშებენ".

პორტუგალიის „პორტოს" მწვრთნელმა ა. მორიაშმა პირველი მატჩის დამთავრების შემდეგ კორესპონდენტებს განუცხადა, რომ მისთვის სრული მოულოდნელობაა დონეცკის „შახტიორის" ასეთი ძლიერი თამაში, განსაკუთრებით პირველ ტაიმში. „საპასუხო მატჩში ჩვენი ამოცანა გაცილებით უფრო ძნელი იქნება, ახლანდელი ერთი გოლის უპირატესობა ჩემთვის ერთობ მცირე გარანტიაა".

პორტუგალიური გაზეთები **„დიარიუ დი ნოტისიაში"**, **„გლობო"**, **„ბოლა"** აღნიშნავენ დონეცკელ ფეხბურთელთა მობილურ, აგრესიულ თამაშს, მაღალ საბრძოლო ნებისყოფას.

ჩვენი გუნდების სამივე მეტოქე — ბუქარესტის „დინამო", პორტუს „პორტო" და ბრიუსელის „ანდერლეჰტი" ახლა საუკეთესო ფორმაში არიან და თავიანთ ეროვნულ ჩემპიონატებში წამყვან პოზიციებზე იმყოფებიან, ჩვენს ქვეყანაში კი სულ ახლახან დაიწყო სეზონი. ეს იმას ნიშნავს, რომ დღევანდელ მატჩებში წმინდა სპორტული ფორმის გარდა დიდი როლი უნდა ითამაშოს საერთო მობილიზებამ, ნებისყოფის სიმტკიცემ, საბრძოლო მზადყოფნამ.

ევროპული საკლუბო ტურნირების ფორმულა ყველამ კარგად ვიცით, მაგრამ მკითხველებს მაინც შევახსენებთ, რა კონკრეტული ამოცანის წინაშე დგანან ჩვენი გუნდები:

„დინამო" (მინსკი). მინსკელებმა თბილისში ანგარიშით 1:1 დაამთავრეს მატჩი ბუქარესტის „დინამოსთან". საპასუხო შეხვედრაში გამარჯვებული გუნდი დაუბრკოლებლად გადის ნახევარფინალში. თუ მატჩი დამთავრდა უშედეგოდ — 0:0, ორი შეხვედრის საერთო ანგარიში იქნება 1:1 და მეტოქის სტადიონზე გატანილი გოლი ბუქარესტელებს გამარჯვებას მოუტანს. თუ დღევანდელი საპასუხო შეხვედრა ასეთივე ანგარიშით დამთავრდა (1:1), დაინიშნება დამატებითი დრო და შემდეგ — დამატებითი პენალტები. თუ მატჩის ანგარიში იქნა 2:2, 3:3 და ა. შ., ბუქარესტის სტადიონზე გატანილი გოლები უპირატესობას მოუტანს მინსკის „დინამოს".

დონეცკის „შახტიორმა" პორტუში წააგო ანგარიშით 2:3. თუ დონეცკელებმა თავიანთ მინდორზე გაიმარჯვეს მინიმალური უპირატესობით (1:0, 2:1 და ა. შ.), „ანტაშის" სტადიონზე გატანილი 2 ბურთი მას უპირატესობას მოუტანს, (ორი მატჩის საერთო ანგარიში იქნება 3:3 ან 4:4).

მოსკოვის „სპარტაკს", რომელიც ჩვენს სტადიონზე დღეს ევროპული ფეხბურთის ერთ-ერთ აღიარებულ, ცნობილ „გრანდს" ბრიუსელის „ანდერლეჰტს" ეთამაშება, აუცილებლად ესაჭიროება გამარჯვება 2 ბურთის სხვაობით, ამასთან ანგარიში უნდა იყოს მხოლოდ 2:0 ან 3:1. მაშინ ორი მატჩის ჯამში ორივე გუნდს თანაბარი რაოდენობის გატანილი და მიღებული ბურთები ექნება (4:4, ან 5:5) და სპარტაკელები უპირატესობას მიიღებენ ბრიუსელში გატანილი 2 ბურთის მეოხებით. თუ ანგარიში ისეთივე იქნა, როგორიც პირველ მატჩში, მაგრამ „სპარტაკის" სასარგებლოდ, ე. ი. 4:2, დაინიშნება დამატებითი დრო და შემდეგ — დამატებითი პენალტები. ყველა სხვა შემთხვევაში უპირატესობას მიიღებს „ანდერლეჰტი". ვთქვათ, სპარტაკელებმა თბილისში გაიმარჯვეს ანგარიშით 5:3, მაშინ 2 მატჩის ჯამში გატანილი და მიღებული ბურთები თანაბარი იქნება — 7:7, მაგრამ ბელგიელთა მიერ მეტოქის მინდორზე გატანილი 3 ბურთი მათ უპირატესობას მოუტანს.

ამრიგად, როგორც ხედავთ, ამოცანა იოლი არაა და მით უფრო საჭიროა სრული დაძაბულობით ბრძოლა წარმატებისთვის.

ჩვენ, საქართველოს ფეხბურთის მოყვარულები, განსაკუთრებული ყურადღებით მოველით სპარტაკელთა თამაშს. „სპარტაკი" თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა ტრადიციული მეტოქე და მეგობარია, ამ ორი გუნდის ნახევარსაუკუნოვანმა ურთიერთობამ, ერთმანეთთან ჩატარებულმა შეხვედრებმა გარკვეული ტრადიციები შექმნა, წარმატებას ხან ერთი მხარე აღწევდა, ხან მეორე, მაგრამ თბილისის „დინამოსა" და მოსკოვის „სპარტაკის" შეხვედრები მუდამ აღინიშნება მაღალი სპორტული კლასით, დაძაბული ბრძოლით, შეუპოვრობით. ვინ მოთვლის რამდენი სიამოვნება მიგვიღია, როცა კი მწვანე მინდორზე საბრძოლველად გამოსული ეს ორი გუნდი გვიხილავს.

„სპარტაკის" მთელი კოლექტივი, მწვრთნელებიც, ფეხბურთელებიც, თბილისში და, მხოლოდ თბილისში ამჯობინებენ თამაშს. მათ ახლაც შეეძლოთ აერჩიათ ჩვენი სამხრეთის სხვა რომელიმე ქალაქის სტადიონი, ან, თუნდაც, მოსკოვის „ტორპედოს" სტადიონი, სადაც მიწისქვეშა გათბობაა და უკვე ჩატარდა საკავშირო ჩემპიონატის რამდენიმე მატჩი. მაგრამ „სპარტაკს" თამაში სურს თბილისში, ჩვენი მაყურებლის წინაშე და, ვფიქრობთ, ამ დიდ ნდობას ჩვენი გულშემატკივრის მიმართ გამართლება უნდა. რახან სპარტაკელებს ქომაგები სჭირდებათ და ამ ქომაგებად ჩვენ აგვირჩიეს, რახან ენდვნენ ჩვენს მწვანე მინდორს და ჩვენს კეთილ განწყობილებას, საფეხბურთო ერუდიციას, უნდა გამოვიჩინოთ მხურვალე მხარდაჭერა და სიმპათიები.

გავიხსენოთ, რომ სწორედ ამჟამად მიმდინარე უეფა-ს თასის გათამაშებაში მოსკოვის „სპარტაკი" ძალზე მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა, როცა მეთექვსმეტედფინალური მატჩი ინგლისის განთქმულ „ასტონ ვილასთან" საკუთარ მინდორზე ფრედ დაამთავრა (2:2) და საპასუხო მატჩისთვის, რომელიც ინგლისის ქალაქ ბირმინგემში ჩატარდა, თითქმის წასაგებად განწირული იყო. მაგრამ სწორედ იმ საპასუხო მატჩში სპარტაკელებმა გამოავლინეს თავიანთი საბრძოლო თვისებები და შესანიშნავი ოსტატობა, გაიმარჯვეს ანგარიშით 2:1 და მერვედფინალში გავიდნენ. ახლა, როცა „სპარტაკს" პირველი მატჩი წაგებული აქვს ანგარიშით 2:4 და „ანდერლეჰტს" შინ მასპინძლობს, თბილისის სტადიონზე, სრული იმედი გვაქვს, რომ გუნდი შეძლებს ამ ორგოლიანი „დეფიციტის" ლიკვიდირებას.

წარმატებას ვუსურვებთ სპარტაკელებს, ჩვენ მათი გულმხურვალე მხარდამჭერნი ვართ.

გთავაზობთ უეფა-ს თასზე მოსკოვის „სპარტაკისა" და ბრიუსელის „ანდერლეჰტის" მიერ ჩატარებული მატჩების შედეგებს:

„სპარტაკი". ოცდამეთორმეტედფინალი ფინეთის ჰიკ-თან (ჰელსინკი) — 2:0 და 5:0, მეთექვსმეტედფინალი ინგლისის „ასტონ ვილასთან" (ბირმინგემი) — 2:2 და 2:1, მერვედფინალი ჰოლანდიის „სპარტასთან" (როტერდამი) — 2:2 და 2:0, მეოთხედფინალი ბელგიის „ანდერლეჰტთან" (ბრიუსელი) — 2:4.

„ანდერლეჰტი". ოცდამეთორმეტედფინალი ნორვეგიის „ბრინთან" — 3:0 და 1:1, მეთექვსმეტედფინალი ჩეხოსლოვაკიის „ბანიკთან" (ოსტრავა) — 2:0 და 2:2, მერვედფინალი საფრანგეთის „რესინგთან" (ლანი) — 1:1 და 1:0, მეოთხედფინალი მოსკოვის „სპარტაკთან" — 4:2.

სურათზე: მოსკოვის „სპარტაკი" ვარჯიშის დროს.

ჩვენი ფეხბურთის საკეთილდღეოდ

მურთაზ ხურცილავა,

სპორტის დამსახურებული ოსტატი

მოსკოვის სპარტაკელებთან დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებს მეც და თბილისის „დინამოს" სხვა ვეტერანებსაც. ბევრი ბრძოლა გადაგვიხდია ერთმანეთის წინააღმდეგაც და ნაკრების შემადგენლობაშიც ხშირად გვითამაშია მხარდამხარ.

დღევანდელ საპასუხო მეოთხედფინალურ მატჩში მეტად საყურადღებო ვითარება შეიქმნა. სპარტაკელებს ჩვენგან დიდი მხარდაჭერა და ქომაგობა სჭირდებათ და ამ მხარდაჭერას არ დავაკლებთ — არც ვეტერანი ფეხბურთელები, არც მაყურებლები.

რევაზ ძოძუაშვილი,

საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი

ფეხბურთის მოყვარულებს მინდა ვუთხრა, რომ ისინი დღეს მეტად საინტერესო, საყურადღებო მატჩის მოწმენი იქნებიან, ისეთი რანგის გუნდი, როგორიც ბრიუსელის „ანდერლეჰტია", ხშირად როდი ჩამოდის თბილისში. ვნახავთ უმაღლესი კლასის გუნდს, ბრწყინვალე ფეხბურთელებს. „სპარტაკი" — „ანდერლეჰტი" — ასეთი თამაში ფეხბურთის მოყვარულს არ დაავიწყდება.

რა თქმა უნდა, ყოველნაირად შევეცდებით გავამხნევოთ და მხარი დავუჭიროთ სპარტაკელებს. ამჯერად ჩვენ ერთ ნავში ვართ და უნდა ვიზრუნოთ საბჭოთა ფეხბურთის წარმატებისათვის.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი

სტატისტიკოსის ბლოკნოტში

47-ე ჩემპიონატი, II ტური

„ქაირათი" — „ჩერნომორეცი" 2:0 (1:0). ორივე გოლი გაიტანა სტუკაშოვმა.

დუბლიორები — 1:0.

„დნეპრი" — „დინამო" მნ. 2:0 (0:0). ორივე ბურთი გაიტანა პროტასოვმა.

გააფრთხილეს მინსკელი შიშკინი.

დუბლიორები — 1:0.

„შახტიორი" — „ჟალგირისი" 4:1 (0:1). ანგარიში გახსნა ვილნიუსელმა კასპარავიჩიუსმა. შესვენების შემდეგ მოროზოვმა (2), იაშჩენკომ და გრაჩოვმა გამარჯვება მოუტანეს „შახტიორს".

დუბლიორები — 0:0.

ცსკა — „დინამო" კ. 1:1 (1:0). გოლები: ბუროვი (ცსკა), ბლუსი („დინამო").

გააფრთხილეს არმიელი ფეხბურთელები კუზნეცოვი და ბულგაკოვი.

მატჩი იმსაჯა სოხუმელმა ა. მილჩენკომ. მას ეხმარებოდნენ თბილისელი არბიტრები ვ. მიმინოშვილი და თ. ლაცაბიძე.

„ტორპედო" — ასკ რ. 2:1 (1:0). გოლები: პოლუკაროვი, კობზევი („ტორპედო"), ანდრეევი (ასკ).

გააფრთხილეს როსტოველი შჩერბაკი.

მატჩი იმსაჯა საქართველოს მსაჯთა კოლეგიის ბრიგადამ: ვ. მიმინოშვილი, ა. მილჩენკო, თ. ლაცაბიძე.

დუბლიორები — 5:1.

„არარატი" — „დინამო" მ. 6:2 (3:0). გოლები: მხითარიანი (4), ოჰანესიანი („არარატი"), ბარადიუკი, ნოვიკოვი („დინამო").

დუბლიორები — 2:3.

„მეტალისტი" — „ზენიტი" 1:1 (1:0) გოლები: ტარასოვი („მეტალისტი"), კლემენტიევი („ზენიტი").

გააფრთხილეს ხარკოველი იარმაკი.

დუბლიორები — 1:1.

„ნეფთჩი" — „ფახთაქორი" 1:0 (0:0). ბურთი გაიტანა ქახამ-ზადემ.

დუბლიორები — 1:0.

გათამაშების ცხრილი

უმაღლესი ლიგა

დუბლიორთა შემადგენლობანი

მდგომარეობა 21 მარტისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ტორპედო" მ.	2	2	0	0	6-1	4
„ნეფთჩი"	2	2	0	0	4-0	4
„დნეპრი"	2	2	0	0	3-0	4
„ქაირათი"	2	2	0	0	2-0	4
„დინამო" თბ.	2	1	1	0	6-1	3
„მეტალისტი"	2	1	1	0	3-1	3
„სპარტაკი"	2	0	2	0	2-2	2
„ზენიტი"	2	0	2	0	2-2	2
„დინამო" კ.	2	1	0	1	1-1	2
„შახტიორი"	2	0	2	0	1-1	2
„დინამო" მ.	2	1	0	1	3-5	2
„არარატი"	2	0	1	1	3-4	1
ცსკა	2	0	1	1	0-1	1
„ჟალგირისი"	2	0	1	1	0-2	1
ასკ რ.	2	0	1	1	1-5	1
„ჩერნომორ."	2	0	0	2	0-2	0
„დინამო" მნ.	2	0	0	2	0-3	0
„ფახთაქორი"	2	0	0	2	0-6	0

ჭადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩები

სხვაობა შემცირდა

გუშინ სოჭში ი. ლევიტინამ და ლ. სემიონოვამ დაამთავრეს 19 მარტს გადადებული მეექვსე პარტია. შეხვედრა მწვავე პოზიციაში იყო შეწყვეტილი. თამაშის განახლებისას სემიონოვამ პირველად გაიმარჯვა ამ მატჩში.

კვლავ წინაა ლევიტინა — 3,5:2,5 (+2—1=3).

დღეს, 21 მარტს, მეშვიდე პარტია უნდა გათამაშდეს.

გაეცანით მეხუთე პარტიის მსვლელობას.

მეხუთე პარტია

სემიონოვა — ლევიტინა

პონციანის დებიუტი

1. e4 e5 2. მf3 მc6 3. c3 მf6 4. d4 მ×e4 5. d5 მe7 6. მ×e5 მg6 7. მc4 კc5 8. კe3 0—0 9. მbd2 ეe8 10. მ×e4 ე×e4 11. ლd3 ეe8 12. 0—0—0 კ×e3+ 13. მ×e3 d6 14. ლd4 ლh4 15. g3 ლ×d4 16. c×d4 კd7 17. მფd2 მe7 18. ეc1



18. ...c6 19. კg2 c×d5 20. მ×d5 მ×d5 21. კ×d5 ეac8 22. ე×c8 ე×c8 23. ეe1 მფf8 24. ეe3 ეc7 25. ეa3 b6 26. ეf3 კe8 27. g4 h6 28. ეe3 f6 29. h4 კf7 30. კ×f7 მფ×f7 31. b3 d5 32. f3 a5 33. a4 g5 34. ეe1 ეc6 35. h×g5 h×g5 36. ეh1 მფg7 37. მფd3 ეc8 38. ეf1 მფg6 39. მფd2 ეc7. ყაიმი.

ამ მატჩში სემიონოვამ მეორედ გამოიყენა ძველი დებიუტი — პონციანის დაცვა, მაგრამ ამჯერად უპირატესობა ვერ მოიპოვა. ლევიტინა საგანგებოდ მოემზადა ასეთი დაწყების საწინააღმდეგოდ და საუკეთესო გაგრძელება აირჩია. გრძელი როქის შემდეგ სემიონოვამ სცადა თამაში გაემძაფრებინა, მაგრამ აქაც ხელი მოეცარა. ლევიტინამ ლაზიერები გააცვლევინა და პარტია თანაბარ ენდშპილში გადავიდა. ლენინგრადელი დიდოსტატი ყაიმისკენ მიისწრაფოდა, ამიტომ მე-18 სვლაზე მან ახალი გაცვლები გამოიწვია და მალე ეტლების საყაიმო ენდშპილი შეიქმნა.

ყაიმი 37-ე სვლაზე

გუშინ ვ. სმისლოვმა და გ. კასპაროვმა მეხუთე პარტია ყაიმით დაამთავრეს 37-ე სვლაზე.

მატჩის ანგარიშია 3,5:1,5 (+2=3) კასპაროვის სასარგებლოდ.

ნიკოლოზ სოროკინი

გარდაიცვალა უხუცესი საბჭოთა ოსტატი ჭადრაკში ნიკოლოზ ტიხონის ძე სოროკინი. იგი ბავშვობაშივე ეზიარა ჭადრაკს და ამ თამაშს მთელი ცხოვრება მიუძღვნა.

ნიკოლოზ სოროკინი დაიბადა 1900 წელს კიევში. გიმნაზიაში სწავლის დროს ერთდროული თამაშის სეანსში შეხვედრია მსოფლიოს მომავალ ჩემპიონს ა. ალიოხინს. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ სოროკინი ერთხანს უკრაინის ტურნირებში გამოდიოდა, 1926 წელს კი იგი თბილისში დასახლდა და აქტიურად ჩაება ჩვენს საჭადრაკო ცხოვრებაში. საქართველოს პირველ ჩემპიონატში მან I-II ადგილები გაიყო ვ. გოგლიძესთან ერთად. შემდეგ კიდევ ორჯერ (1947, 1951 წწ.) გახდა რესპუბლიკის ჩემპიონი. ოთხჯერ მოიპოვა თბილისის ჩემპიონობა.

ნ. სოროკინს მონაწილეობა მიუღია სსრ კავშირის 1931 და 1933 წლების ჩემპიონატში, ამიერკავკასიის პირველ ხუთ პირველობაში, სხვადასხვა რანგის ტურნირებსა და მატჩებში. სპორტის ოსტატის წოდება მიიღო 1958 წელს, როცა ყაიმით (7:7) დაამთავრა მატჩი მოსკოველ ოსტატ გ. ფრიდშტეინთან.

ნ. სოროკინი ჭადრაკის აქტიური პროპაგანდისტი იყო. ომამდე გაზეთ „ზარია ვოსტოკაში", შემდეგ კი გაზეთ „მოლოდოი სტალინეცის" ფურცლებზე რედაქტორობდა საჭადრაკო განყოფილებას, კითხულობდა ლექციებს, ატარებდა ერთდროული თამაშის სეანსებს.

წავიდა ჩვენგან ღვაწლმოსილი მოჭადრაკე, რომელმაც დიდი ამაგი დასდო საქართველოში ჭადრაკის პოპულარიზაციას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი; საქართველოს სსრ ჭადრაკის ფედერაცია; გაზეთ „ლელოს" რედაქცია.

ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები

ესპანეთი

18 მარტს ეროვნული ჩემპიონატის XXVIII ტურში ინტერესს იწვევდა ლიდერების — ბილბაოს „ატლეტიკოსა" და მადრიდის „რეალის" შეხვედრები. ბასკი ფეხბურთელები ხიხონის „სპორტინგს" მასპინძლობდნენ და მეტად დაძაბულ ბრძოლაში შეძლეს მინიმალური ანგარიშით გამარჯვება — 1:0. „რეალსაც" ბასკებთან ჰქონდა მატჩი — პამპლონაში ხვდებოდა ადგილობრივ „ოსასუნას". ამ უკანასკნელმა, ცხადია, ყოველი ღონე იხმარა მეტოქის დასამარცხებლად, რითაც ბილბაოელებსაც დაეხმარებოდა. შეხვედრა უაღრესად მძაფრად, უშეღავათოდ წარიმართა და საბოლოოდ „რეალმა" მისთვის ესოდენ მნიშვნელოვანი ქულა დაკარგა — 1:1. ანგარიში 35-ე წუთზე გახსნა სტუმართა ვეტერანმა სანტილიანამ, მაგრამ მეორე ტაიმის დასაწყისში მასპინძლებმა შეძლეს საპასუხო ბურთის გატანა. აღსანიშნავია, რომ მატჩის ბოლო მონაკვეთი „ოსასუნამ" 10 მოთამაშით ჩაატარა (მისი ერთ-ერთი წევრი მინდვრიდან გააძევეს), ხოლო „რეალის" ნახევარმცველმა შტილიკემ ყვითელი ბარათი დაიმსახურა. მადრიდის „ატლეტიკომ" შინ სძლია „მალაგას" (3:1), თუმცა თავიდან სტუმრები დაწინაურდნენ. „ბარსელონამ" და „ვალენსიამ" ფრედ ითამაშეს — 0:0. საკმაოდ მოულოდნელი იყო აშკარა აუტსაიდერის „კადისის" გამარჯვება სტუმრად სარაგოსის „რეალთან" — 2:1.

„ატლეტიკო" (ბილ.)	28	45:24	40
„რეალი" (მადრიდი)	28	47:30	39
„ბარსელონა"	28	47:24	36
„ატლეტიკო" (მად.)	28	42:35	36

გფრ

გათამაშების XXIII ტურში ლიდერი კიდევ ერთხელ შეიცვალა (წლეულს ეს უკვე მეათე შემთხვევაა). „ჰამბურგერ შპორტფერაინმა", რომელმაც გადალახა წარუმატებლობათა პერიოდი, ოფენბახში დაამარცხა ადგილობრივი „კიკერსი" (4:0) და სათავეში ჩაუდგა სატურნირო ცხრილს. გოლები გაიტანეს მილევსკიმ, მაგატმა, როლფმა და იაკობსმა. პოტენციურმა ლიდერმა — მიუნხენის „ბაიერნმა" (მან „ჰამბურგზე" ერთი მატჩით ნაკლები ჩაატარა) — სტუმრად ფრედ ითამაშა მანჰაიმის „ვალდჰოფთან" — 0:0. მოულოდნელად დამთავრდა მატჩი ბრემენში, სადაც „ვერდერი" აუტსაიდერს — მაინის ფრანკფურტის „აინტრახტს" მასპინძლობდა. სტუმრებმა თავგამოდებით ითამაშეს და მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს — 3:2. ეს „ვერდერის" პირველი წაგებაა საკუთარ მინდორზე 1982 წლის 3 აპრილიდან. ბრემენში ამ გუნდმა ზედიზედ 32 მატჩი ითამაშა დაუმარცხებლად. ასევე სენსაცია იყო „კაიზერსლაუტერნის" მოგება დიდი ანგარიშით (5:1) დიუსელდორფში „ფორტუნასთან", მიონხენგლადბახის „ბორუსიამ", მისი მწვრთნელის იუპ ჰაინკესის შეფასებით, სეზონის საუკეთესო მატჩი ჩაატარა — დაამარცხა თავისი უშუალო მეტოქე საპრიზო ადგილისთვის ბრძოლაში „შტუტგარტი" — 2:0. გოლები გაიტანეს ბრუნსმა და მილმა.

„ჰამბურგერ შფ"	23	52:26	32
„ბაიერნი"	22	45:21	31
„ბორუსია" (მონ.)	23	52:33	31
„შტუტგარტი"	22	46:22	30

ინგლისი

XXXI ტურში ლიდერებმა აქტივში მორიგი სამ-სამი ქულა ჩაიწერეს. „ლივერპულმა" შინ დაამარცხა ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპური" — 3:1, ხოლო „მანჩესტერ იუნაიტედმა" ასევე საკუთარ მინდორზე „ლესტერ სიტის" მოუგო — 2:0. ლონდონის „არსენალმა" დიდი ანგარიშით (4:1) სძლია „იფსვიჩ თაუნს", რომელსაც ახლა I ლიგის დატოვება ემუქრება. ლიგიდან გავარდნის კიდევ ერთმა კანდიდატმა „სტოკ სიტიმ" დაამარცხა ბირმინგემის „ასტონ ვილა" — 2:0. ლონდონის გუნდების „ვესტ ჰემ იუნაიტედისა" და „ვულვერჰემპტონ უონდერერსის" შეხვედრა დამთავრდა ფრედ —1:1.

„ლივერპული"	31	51:22	63
„მანჩესტერ იუნ."	31	59:31	61
„ვესტ ჰემ იუნ."	31	50:32	54

იტალია

ჩემპიონობის მთავარმა პრეტენდენტმა, ტურინის „იუვენტუსმა" XXII ტურში ძლივს იხსნა ქულა გენუაში, ადგილობრივ „სამპდორიასთან" შეხვედრაში — 1:1. თანაც ორივე გოლი 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით გაიტანეს უცხოელმა ფეხბურთელებმა — ირლანდიელმა ბრეიდიმ („სამპდორია") და ფრანგმა პლატინიმ. ამ უკანასკნელმა ანგარიში 84-ე წუთზე გაათანაბრა და 18 გოლით სათავეში ჩაუდგა ბომბარდირთა სიას (II ადგილზეა ბრაზილიელი ზიკო — „უდინეზე" — 17 გოლი). მეტად ძლიერად ითამაშა ფლორენციის „ფიორენტინამ", რომელმაც მონელისა და არგენტინელი ბერტონის გოლების წყალობით ვერონის „ჰელასს" მოუგო — 2:0. 60 ათასი მაყურებელი დაესწრო მატჩს ნეაპოლში, სადაც აუტსაიდერი „ნაპოლი" ქვეყნის ჩემპიონს — „რომას" მასპინძლობდა. ანგარიში გახსნა სტუმართა თავდამსხმელმა გრაციანიმ. შესვენების შემდეგ კაზალემ გაქვითა ეს ბურთი, მაგრამ იმავე გრაციანიმ გამარჯვება მოუტანა „რომას" — 2:1. ასეთივე ანგარიშით „ტორინომ" დაამარცხა „ფკ 93 ჯენოვა".

„იუვენტუსი"	22	46:21	33
„რომა"	22	34:20	29
„ტორინო"	22	30:20	28
„ფიორენტინა"	22	39:23	28

პირველი შედეგები

სამტრედია, 20 მარტი (ტელეფონით, „ლელოს" კორ.). აქ მიმდინარეობს საქართველოს მოსწავლეთა საჭადრაკო პირველობა.

2 ტურის შემდეგ გოგონათა ტურნირში (მონაწილეობს 14 მოჭადრაკე) დაწინაურდნენ ქ. კახიანი (გარდაბანი), ნ. წკეპლაძე, მ. ცხვედიანი (ორივე — ქუთაისი) და ნ. გელაშვილი (თბილისი) — 2-2 ქულა. ყველაზე უმცროსმა მონაწილემ ს. ნიკოლაძემ (ქუთაისი) ყაიმით დაამთავრა შეხვედრები ოსტატობის კანდიდატთან ქ. აბაშიძესთან (თბილისი) და ნ. ხარლამიდისთან (ქუთაისი).

ჭაბუკთა შეჯიბრების სტარტზე ორ-ორი შეხვედრა მოიგეს გ. გოგიჩაიშვილმა და თ. ტაბატაძემ (ორივე — თბილისი). პირველმა სძლია ხ. სუპატაშვილს (ქუთაისი) და ე. ჭელიძეს (ბათუმი), მეორემ — ი. პოპოვს (თბილისი) და ე. ჭელიძეს. გ. ქურდულიას (ზუგდიდი), ნ. მანაგაძეს (ქუთაისი) და რ. ბალათურიას (სოხუმი) — 1,5-1,5 ქულა აქვთ.

ბეჟან ჩხაიძე,
პირველობის მთავარი მსაჯი.

„ლევაი სტრაუსის" სარეკლამო ტრიუკი

რაც უფრო ახლოვდება ლოს-ანჯელესის ოლიმპიადა, მით უფრო მეტად ცდილობენ მსხვილი კაპიტალისტური ფირმები თამაშები რეკლამისათვის გამოიყენონ. ცნობილმა ამერიკელმა ფირმამ „ლევაი სტრაუსმა" თავის საუკეთესო მოდელიერებს დაამზადებინა ესკიზები სპორტული ტანსაცმლისა, რომლის რეკლამა, ცხადია, ფირმას კარგა ძვირი უჯდება. მაგრამ ხარჯები რა მოსატანია, როცა „ლევაი სტრაუსი" თამაშების ოფიციალური მიმწოდებელია და ამერიკის ნაკრები გუნდის „თერძის" უფლება აქვს მინიჭებული.

ფირმამ ნაციონალურ გუნდს სამი ესკიზი შესთავაზა: „ექთივი", „უესტერნი" და „კლესიკი". რეკლამა სამივე ესკიზებს საუცხოოდ მიიჩნევს. საბოლოოდ, რა თქმა უნდა, მათგან ერთი შეირჩევა, მაგრამ შერჩევაცაა და შერჩევაც: „ლევაი სტრაუსს" სურს საუკეთესო ესკიზი საყოველთაო რეფერენდუმმა გამოავლინოს... ესეც ხომ თავისებური სარეკლამო ტრიუკია.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

ბრაზილიის სპორტული პრესისა და ფეხბურთის სპეციალისტების აზრით, ტალანტებით მდიდარი ბრაზილიის ფეხბურთი შეიძლება მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდეს, თუ იტალიის კლუბების მესვეურები არ შეწყვეტენ ამ ქვეყნის გამოჩენილი მოთამაშეების ექსპორტს.

როგორც ცნობილია, ამჟამად იტალიაში ბრაზილიის ათი წამყვანი ფეხბურთელი თამაშობს. ახლახან ბრაზილიის პრესაში გამოქვეყნდა ცნობა იმის შესახებ, რომ იტალიის კლუბების წარმომადგენლებთან ინტენსიურ მოლაპარაკებას აწარმოებენ ნაკრების ფეხბურთელები ედერი, ჟუნიორი, სოკრატესი, რენატო, რობერტო და ადილიო.

„ფლამენგოს" ვიცე-პრეზიდენტმა ჟილბერტო კარდოსო ფილიომ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა: „თუ იტალიელები კვლავ გააგრძელებენ ბრაზილიელი ფეხბურთელების გადაბირებას, 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე იტალიიდან მთელი გუნდის გამოწვევა მოგვიწევს, ხოლო მსოფლიო პირველობამდე იძულებული ვიქნებით ტელეეკრანზე იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატს ვადევნოთ თვალი.

ფილიოს აზრს იზიარებს „ატლეტიკო მანეიროს" ვიცე-პრეზიდენტი იეო მელო, რომელიც ფიქრობს, რომ იტალიელებს არევ-დარევა შეაქვთ ბრაზილიის ფეხბურთში. მან თქვა: „ვშიშობ, ვაითუ ჩვენმა ახალგაზრდა ფეხბურთელებმა მხოლოდ ფულზე დაიწყონ ფიქრი და ჩვენით უკმაყოფილოებს უცხოეთის პროფესიული კლუბებისკენ გაექცეთ თვალი".

პროფესიული სპორტის სამყაროში

ლირა, კრუზეირო და ფეხბურთი

რას წარმოიდგენდნენ „გრემიოს" ხელმძღვანელები, საკონტინენტთაშორისო თასის მოგება ამდენ უსიამოვნებას თუ მოუტანდათ. გუნდის საუკეთესო თავდამსხმელმა რენატომ, რომელმაც „ჰამბურგთან" მატჩში ორი გოლი გაიტანა, სექტემბერში დადებული კონტრაქტის გადასინჯვა გადაწყვიტა. ვინაიდან მისი მოთხოვნების დაკმაყოფილება კლუბის მეპატრონეთა ძალ-ღონეს აღემატება, რენატომ მათ განუცხადა, რომ იტალიაში აპირებს გამგზავრებას.

ბრაზილიის სპორტული მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ მომავალ სეზონში იტალიის ჩემპიონატში ფეხბურთის მოყვარულები იხილავენ არა მარტო საუკეთესო ბრაზილიელ მოთამაშეებს, არამედ ევროპის ქვეყნების უძლიერეს წარმომადგენლებსაც. უკვე გადაწყვეტილია გფრ-ის ნაკრების კაპიტნის რუმენიგეს „ინტერში" გადასვლის საკითხი. ინგლისის უძლიერესი ფეხბურთელი ბრაიან რობსონი მოლაპარაკებას აწარმოებს „სამპდორიასთან", რომლის რიგებში უკვე გამოდის მეორე ინგლისელი — ტრევორ ფრენსისი.

მაგრამ საკითხავია: მოუტანს კი სარგებლობას იტალიის ფეხბურთს უცხოელთა ასეთი კრებული? ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია, რომელმაც თავის დროზე კლუბების მეპატრონეებს იტალიაში უცხოელ მოთამაშეთა მოწვევის ნება დართო, ახლა ამ მოთამაშეთა მობილობის წინააღმდეგ გამოდის, მაგრამ აშკარად ვერ უმკლავდება მათ. კრიზისი, რომელმაც იტალიის ნაკრების მარცხი გამოიწვია (როგორც ცნობილია, გუნდი შესარჩევ ჯგუფში ბოლოსწინა ადგილზე დარჩა და ევროპის ჩემპიონატის ფინალში ვერ გავიდა), სწორედ უცხოელი ფეხბურთელებისთვის „კარის გაღებას" დაემთხვა.

მსუბუქი სასჯელი

უეფა-ს აღმასკომმა ამას წინათ განიხილა მილანის „ინტერნაციონალეს" საქმე, რომლის გულშემატკივრებმაც „სან-სიროს" სტადიონზე ნამდვილი ხელჩართული ბრძოლა გამართეს. ამ აურზაურის შედეგად სერიოზულად დაშავდნენ ვენის „აუსტრიის" მოთამაშეები და ქომაგებიც, რომლებიც თან ჩამოჰყვნენ თავიანთ გუნდს „ინტერთან" უეფა-ს თასის საპასუხო მატჩზე.

საქმის განხილვის წინ პრესაში გამოითქვა მოსაზრება, რომ მილანის გუნდს მკაცრი სასჯელი ელოდა, „ინტერი" ან უნდა გაერიცხათ ევროპის საკლუბო გათამაშებებიდან, ან „სან-სიროს" სტადიონისთვის დისკვალიფიკაცია მიეცათ.

მაგრამ სასჯელი მეტად მსუბუქი გამოდგა: სულ 12 ათასი დოლარი ჯარიმა.

იტალიის მასობრივი ინფორმაციის ორგანოებმა უეფა-ს აღმასკომის ამ გადაწყვეტილებას „სასიამოვნო საჩუქარი" უწოდეს.

რედაქტორი ა. გოგელია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97 53; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-98-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. [illegible]
ИНДЕКС 66435
გაზეთი [illegible] 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 [illegible]